



საქართველოს ეკონომიკა 2016 წელს

საქართველის ეკონომიკის პერსპექტივა
ანგარიში #10



ოქტომბერი 2016

საქართველოს ეკონომიკა 2016 წელს

ოქტომბერი 2016

ანგარიში მომზადდა ღია საზოგადოების ინსტიტუტის ფონდების
ფინანსური მხარდაჭერით ანალიტიკური ორგანიზაციების
ინსტიტუციონალური მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში.

სარჩევი

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები	6
ეკონომიკური ზრდა ქვეყანაში	8
სამომხმარებლო ფასების ინდექსი და ინფლაცია	12
საგარეო სექტორი	15
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	15
ვაჭრობა.....	17
სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება 2016 წლის პირველ ნახევარში.....	21
დამატებული ღირებულების გადასახადი	22
საშემოსავლო გადასახადი.....	23
სახელმწიფო ხარჯების სტრუქტურა	24
შრომის ანაზღაურება.....	25
2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმა.....	27
რეკომენდაციები.....	31

ძირითადი მიგნებები

- ეკონომიკური ზრდის ტემპები 2016 წლის პირველ ნახევარში საკმაოდ ნელია, თუმცა, მეტ-ნაკლებად ემთხვევა გასულ წელს გაკეთებულ პროგნოზებს;
- 2016 წლის აგვისტოში ინფლაციამ 0.9% შეადგინა, ხოლო წლის პირველი რვა თვის მანძილზე საშუალო წლიური ინფლაცია 3%-ს გაუტოლდა. გასული წლის ბოლოდან, როდესაც ინფლაცია დროებით გადაცდა 5%-იან სამიზნე მაჩვენებელს, ინფლაციას მკვეთრად გამოხატული დაღმავალი ტრენდი გააჩნია, რომელიც ნაწილობრივ საბაზო ეფექტით, ხოლო ნაწილობრივ ისევ და ისევ შენელებული ეკონომიკური აქტივობით აიხსნება;
- 2015 წელს ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების საშუალო წლიური ზრდა 31.9% იყო, 2016 წლის პირველი 7 თვის განმავლობაში სესხები საშუალოდ მხოლოდ 9.3%-ით იზრდებოდა;
- დარგების მიხედვით განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა მშენებლობაზე (31.2%) და სასტუმროებსა და რესტორნებზე (18.5%) გაცემული სესხები, მაშინ როდესაც ვაჭრობაზე და ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე გაცემული სესხები მკვეთრად შემცირდა, შესაბამისად, 8.5% და 11.4%-ით. ასევე მკვეთრად შემცირდა სამომხმარებლო სესხების ზრდის ტემპი – თუ 2015 წელს საშუალო მაჩვენებელი 21.3% იყო, საანგარიშო პერიოდში ის მხოლოდ 1.6%-ს გაუტოლდა;
- 2016 წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა შეადგინა 211.5 მილიონი ლარი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (17.4 მილიონი ლარი). ამასთან, ეს დეფიციტი ნახევარი წლის მშპ-ს 1.37%-ს წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ თუკი ბიუჯეტის დეფიციტი დაგეგმილი მშპ-ს 3% ოდენობით შესრულდება, წლის მეორე ნახევარში ბიუჯეტის დეფიციტი ბევრად ფართო უნდა იყოს;
- ადგილი ჰქონდა საქართველოდან კაპიტალის წმინდა გადინებას. ასეთი ქვეყნების სათავეშია შვედეთი, სადაც საქართველოდან წმინდა გადინებამ 2016 წლის პირველ კვარტალში შეადგინა 7.2 მლნ აშშ დოლარი. მას მოყვებიან არაბეთის გაერთიანებული ემირატები (6.9 მლნ აშშ დოლარი) და იაპონია (5.5 მლნ აშშ დოლარი). ამასთან, უნდა აღინიშნოს ბოლო პერიოდში ნიდერლანდების წილის კლება პირდაპი უცხოურ ინვესტიციებში – თუ 2013 წელს ამ ქვეყნიდან შემოსული ინვესტიციები მთლიანი ინვესტიციების 16.3%-ს, ხოლო 2014 წელს კი 21.2%-ს შეადგენდა, 2016 წლის პირველ ნახევარში ეს მაჩვენებელი 5%-მდე დაეცა;

- სექტორული დინამიკის კუთხით აღსანიშნავია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში ინვესტიციების წილის მკვეთრი ზრდა ბოლო 5–6 წლის მანძილზე. თუ 2011 წელს ამ სექტორის წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 11.3% იყო, 2016 წლის პირველ ნახევარში ამ მაჩვენებელმა 45.1%–ს მიაღწია;

- 2016 წლის იანვარ–ივლისში 40.1%–ით გაუარესდა საქართველოს სავაჭრო დეფიციტი, ხოლო სავაჭრო ბრუნვა კი 17%–ით გაიზარდა. თუკი 2015 წლის პირველი შვიდი თვის მანძილზე მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვა შეადგენდა 5.599 მილიარდ აშშ დოლარს, ხოლო დეფიციტი კი 3.063 მილიარდი დოლარი იყო, 2016 წლის ანალოგიურ პერიოდში ამ მონაცემებმა, შესაბამისად 6.548 და 4.304 მილიარდი დოლარი შეადგინა.

- თუკი გასულ წელს ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში მცირედით, მაგრამ გაიზარდა, წელს ეს პარამეტრი 25.1%ით შემცირებულია. შემცირდა, ასევე, ექსპორტი დსთ–ს ქვეყნებში, და ამ შემცირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ექსპორტმა აზერბაიჯანში, რომელიც 61.7%–ით დაეცა წინა წელთან შედარებით. აღსანიშნავია, თუმცა, ექსპორტის 19.3%–იანი ზრდა რუსეთში. ასევე, მიუხედავად ლარის გაუფასურებისა აშშ დოლარის მიმართ, 26.2%–ით შემცირდა საქართველოს ექსპორტი აშშ–შიც.

- 2016 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების მაჩვენებელი განისაზღვრა 7,980 მილიონი ლარით, ხოლო მობილიზებული სახსრებმა 3,774.5 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წლიური დაგეგმილი მაჩვენებლის 46.9%–ია. ამასთან ნახევარი წლის გეგმა იყო 3,716 მილიონი ლარი, რაც იმას ნიშნავს, რომ ნახევარი წლის შესრულება 100.8% იყო.

- 2016 წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა შეადგინა 211.5 მილიონი ლარი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (17.4 მილიონი ლარი).

- გასულ წელთან ბიუჯეტს თითქმის 200 მილიონი დააკლდა აბსოლუტურ მაჩვენებლებში, ხოლო, თუ გავითვალისწინებთ ბიუჯეტის ზრდის მაჩვენებელსაც 2015 წელთან შედარებით, დანაკლისი 327.4 მილიონი ლარია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ტვირთი მომდევნო კვარტალებზე გადანაწილდება.

- ინფრასტრუქტურული ხარჯების შესრულება მნიშვნელოვნად ჩამორჩება გეგმას.

თუკი გეგმის მიხედვით ხარჯების ოდენობა უნდა ყოფილიყო 326,1 მილიონი ლარი, შესრულება მხოლოდ 261,1 მილიონ ლარს, ანუ გეგმის მხოლოდ 80.1%-ს შეადგენს.

- 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობები განისაზღვრა 10,555 მილიონი ლარით, რაც 2016 წლის გეგმას 410 მილიონი ლარით აღემატება.

- 2017 წლის რეალური მშპ-სა და მშპ დეფლატორის ზრდა 4%-ით არის განსაზღვრული. ამდენად, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვრა მშპ-ს 22.3%-ის ოდენობით;

- 2014–15 წლებში ლარის მკვეთრი გაუფასურების გამო, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის წილი მშპ-ში გაიზარდა 27.2%-იდან 32.6%-მდე. 2017 წლის ბოლოსთვის დაგეგმილია ამ მაჩვენებლის 31.9%-მდე შემცირება, თუმცა ეს შემცირება მათ შორის ლარის კურსის 2.4–დან 2.3–მდე გამყარების გამო არის დაგეგმილი;


- 2017 წლის მანძილზე საგარეო ვალდებულებების ზრდა განსაზღვრულია 1,360 მილიონი ლარის ოდენობით, საიდანაც საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად მიღებული გრძელვადიანი კრედიტების მოცულობაა 900 მილიონი ლარი, ხოლო მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მიღებული საბიუჯეტო კრედიტებია 460 მილიონი ლარი.

ეკონომიკური ზრდა ქვეყანაში¹

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2016 წლის პირველი შვიდი თვის საშუალო რეალურმა ზრდამ 2.7% შეადგინა. ეს მაჩვენებელი ოდნავ აღემატება საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2016 წლის პროგნოზს, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური ზრდა საქართველოში 2016 წელს 2.5% უნდა იყოს, თუმცა ჩამორჩება მსოფლიო ბანკის უფრო ოპტიმისტურ პროგნოზს (3%). გამოქვეყნდა, ასევე 2016 წლის პირველი კვარტალის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის დეტალური მაჩვენებლები, რომელთა მიხედვით საქართველოს მშპ-ში ძირითადი წვლილი შეიტანა ვაჭრობამ (15.9%), მრეწველობამ (15.7%) და ტრანსპორტმა და კავშირგაბმულობამ (11.6%).


1 ანგარიშში გამოყენებული საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურა, 2016 წლის I ნახევარი




ასევე, პირველი კვარტალის მონაცემებით, რეალური ეკონომიკური ზრდა 2016 წლის პირველ ნახევარში იყო 2.8%, რაც ჩამორჩება გასული წლების პირველ კვარტალებში დაფიქსირებულ წლიურ მაჩვენებლებს. აღნიშნულ პერიოდში ზრდაში ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მშენებლობამ (0.94 პროცენტული პუნქტი) და ფინანსურმა საქმიანობამ (0.35 პროცენტული პუნქტი). ამასთან, ორნიშნა ტემპებით იზრდებოდა შემდეგი დარგები: სამთომომპოვებითი მრეწველობა – 26.6%, მშენებლობა – 18.2%, სასტუმროები და რესტორნები – 11.2%. კლებს აღინიშნებოდა შემდეგ დარგებში: ტრანსპორტი (–3.5%), ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება (–1.5%) და ვაჭრობა (–0.6%).

მშპ-ს წლიური ზრდა, %




კვარტალური ზრდა




ბოლო რამდენიმე წლის კვარტალური ზრდის დინამიკა გარკვეულწილად ეკონომიკურ შენელებას აჩვენებს. თუ 2013 წლის მეოთხე კვარტალში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ეკონომიკურმა ზრდამ 7.6% შეადგინა, ბოლო ექვსი კვარტალის მანძილზე ეს მაჩვენებელი საშუალოდ მხოლოდ 2.6%–ია, რაც საქართველოს მსგავსი განვითარებადი ეკონომიკისთვის ძალიან დაბალ მაჩვენებელს წარმოადგენს. ეკონომიკური აქტივობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს ეკონომიკაზე გაცემული სესხების ზრდის ტემპი წარმოადგენს. როდესაც ეკონომიკის დაკრედიტება კლებულობს, ეს მიუთითებს ადგილობრივი მოთხოვნის შემცირებაზე, რაც ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ეს ინდიკატორი 2016 წელს შემცირებულია, კერძოდ, თუკი 2015 წელს ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების საშუალო წლიური ზრდა 31.9% იყო, 2016 წლის პირველი 7 თვის განმავლობაში სესხები საშუალოდ მხოლოდ 9.3%–ით იზრდებოდა. აღსანიშნავია, რომ დარგების მიხედვით განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა მშენებლობაზე (31.2%) და სასტუმროებსა და რესტორნებზე (18.5%) გაცემული სესხები, მაშინ როდესაც ვაჭრობაზე და ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე გაცემული სესხები მკვეთრად შემცირდა, საშუალო მაჩვენებლებით, შესაბამისად, 8.5% და 11.4%–ით. ასევე მკვეთრად შემცირდა სამომხმარებლო სესხების ზრდის ტემპი – თუ 2015 წელს საშუალო მაჩვენებელი 21.3% იყო, საანგარიშო პერიოდში ის მხოლოდ 1.6%–ს გაუტოლდა. მნიშვნელოვნად, შემცირდა, ასევე, ჯანდაცვასა და სოციალურ მომსახურებაზე გაცემული სესხებიც, თუმცა, ამ კატეგორიის მთლიან სესხებში მცირე წილის გამო, აბსოლუტურ მაჩვენებლებში ეს კლება მნიშვნელოვანი არ ყოფილა. აღსანიშნავია, რომ კლების აღნიშნული ტენდენცია მთელი წლის მანძილზე არსებობს, და ზრდის ტემპი კლებულობს იმ დარგების შემთხვევაშიც კი, რომელთა დაკრედიტება გაიზარდა წლის მანძილზე (გარდა მშენებლობის დარგისა, რომელიც წლის დასაწყისში 22–25–იანი ზრდით, ხოლო ივლის – აგვისტოში კი 41–45%–იანი ზრდით ხასიათდებოდა).

საპროცენტო განაკვეთები კვლავაც უფრო დაბალია უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებზე, ვიდრე ლარში აღებულ სესხებზე, თუმცა სახეზეა იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთების კლების ტენდენცია ორივე ვალუტაში და შედარებითი სტაბილურობა სხვა ტიპის სესხების შემთხვევაში.

საპროცენტო შინამეურნეობებზე გაცემულ სესხებზე, უცხოურ ვალუტაში



საპროცენტო შინამეურნეობებზე გაცემულ სესხებზე, ადგილობრივ ვალუტაში



რაც შეეხება სესხებს იურიდიულ პირებზე, ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად დაიკლო საშუალო საპროცენტო განაკვეთმა ეროვნულ ვალუტაში, თუმცა ეს მაჩვენებელი კვლავაც აღემატება უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთებს.

საპროცენტო განაკვეთები სესხებზე




სამომხმარებლო ფასების ინდექსი და ინფლაცია

საქართველოში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი ამ ეტაპზე 5%–ით განისაზღვრება. საქართველოს ეროვნული ბანკის განმარტებით: „ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის დადგენისას მხედველობაში მიიღება ქვეყნის ზრდის ტემპი და თუ როგორ ვითარდება პროდუქტიულობა ვაჭრობად და არავაჭრობად სექტორებში. ზოგადად, განვითარებადი ქვეყნები ხასიათდებიან პროდუქტიულობის უფრო მაღალი ზრდის ტემპით, ვიდრე ეს ხდება განვითარებულ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი ვაჭრობადი საქონლის სექტორებში. პროდუქტიულობის ზრდა ვაჭრობად სექტორში, რასაც თან ახლავს ამ სექტორში ხელფასების მატება, შრომითი რესურსების მობილურობის პირობებში, იწვევს ხელფასების დონის ზრდას არავაჭრობად სექტორისთვისაც (იმ შემთხვევაშიც კი თუ არავაჭრობად სექტორში პროდუქტიულობა არ შეცვლილა). საბოლოოდ, გაზრდილი ხელფასების ფონზე ვიღებთ გაზრდილი ფასების დონეს მთელს ეკონომიკაში. მაშასადამე, რაც უფრო მაღალია ქვეყნის პროდუქტიულობის ზრდის ტემპი სხვა ქვეყნებთან შედარებით, განსაკუთრებით კი ვაჭრობად სექტორში, მისთვის დამახასიათებელი იქნება ინფლაციის უფრო მაღალი მაჩვენებელი.“² შესაბამისად, როდესაც ინფლაცია დაბალია, ეს ასახავს ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის შენელებას.

² <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=550>

2016 წლის აგვისტოში ინფლაციამ 0.9% შეადგინა, ხოლო წლის პირველი რვა თვის მანძილზე საშუალო წლიური ინფლაცია 3%–ს გაუტოლდა. გასული წლის ბოლოდან, როდესაც ინფლაცია დროებით გადაცდა 5%–იან სამიზნე მაჩვენებელს, ინფლაციას მკვეთრად გამოხატული დაღმავალი ტრენდი გააჩნია, რომელიც ნაწილობრივ საბაზო ეფექტით,³ ხოლო ნაწილობრივ ისევ და ისევ შენელებული ეკონომიკური აქტივობით აიხსნება. ამ უკანასკნელის წვლილს ასევე მიუთითებს ის გარემოება, რომ ყოველთვიური ინფლაცია (სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილება წინა თვესთან შედარებით) უარყოფითი იყო მარტიდან ივნისის ჩათვლით.



ფასების დონის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი – სამრეწველო ფასების ინდექსი – ასევე მიუთითებს ეკონომიკაში არსებულ პრობლემებზე. კერძოდ, სამრეწველო ფასების ინფლაცია უარყოფითია ბოლო 5 თვის მანძილზე, ხოლო 2016 წლის ივნისის თვეში დაფიქსირებულ ნიშნულზე დაბლა ეს მაჩვენებელი მხოლოდ 2009 წლის რეცესიის დროს აღმოჩნდა.


3 საბაზო ეფექტი გულისხმობს წინა წლის ინფლაციის დონის გავლენას მიმდინარე ინფლაციაზე. თუ წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ინფლაცია დაბალი იყო, მაშინ ფასების დონის მცირე ზრდაც კი მიმდინარე პერიოდში მაღალი ინფლაციის მიზეზი იქნება, და პირიქით.

სამრეწველო ფასების ინდექსი



ეკონომიკური შესუსტებისა და ინფლაციის შემცირების ფონზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაიწყო გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკიდან გამოსვლა და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8%-იდან 6.5-მდე შეამცირა.

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




საგარეო სექტორი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

წინასწარი მონაცემებით, 2016 წლის პირველ ნახევარში საქართველოში სულ 833.9 მლნ აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა. ეს 10.6%–ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს და ცოტათი ჩამორჩება მთლიანად 2014 წლის მანძილზე შემოსული ინვესტიციების ოდენობას.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები




საქართველოში 2016 წლის პირველ ნახევარში შემოსული უცხოური ინვესტიციები შეგვიძლია წარმომაგლობის მიხედვით სამ ძირითად ნაკადად დავყოთ – ევროკავშირის ქვეყნები, დსთ–ს ქვეყნები და სხვა ქვეყნები. მათგან, ევროკავშირის ქვეყნების წილზე მოდიოდა მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 37.9% (316.7 მლნ აშშ დოლარი; ამ ნაკადების დაახლოებით 47% მოდიოდა გაერთიანებულ სამეფოსა და ნიდერლანდებზე), დსთ–ს ქვეყნებზე – 35.8% (298.5 მლნ აშშ დოლარი; ქვეყნების ამ ჯგუფში გამოკვეთილი ლიდერია აზერბაიჯანი, საიდანაც საქართველოში საანგარიშო პერიოდში 282.5 მლნ აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა), ხოლო დანარჩენ ქვეყნებზე კი 24.6% (205.4 მლნ აშშ დოლარი⁴;

4 ნიშანდობლივია, რომ მთლიანად 2015 წლის მანძილზე ქვეყანათა ამ ჯგუფიდან საქართველოში განხორციელებული ჯამური ინვესტიციები მხოლოდ 171.4 მლნ ლარს გაუტოლდა.

ამ ნაკადების ლომის წილი – თითქმის 80% – მოდის აშშ–ზე, თურქეთზე, პანამასა და კორეაზე). აღსანიშნავია, ასევე, რომ გარკვეულ ქვეყნების შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საქართველოდან კაპიტალის წმინდა გადინებას. ასეთი ქვეყნების სათავეშია შვედეთი, სადაც საქართველოდან წმინდა გადინებამ 2016 წლის პირველ კვარტალში შეადგინა 7.2 მლნ აშშ დოლარი. მას მოყვებიან არაბეთის გაერთიანებული ემირატები (6.9 მლნ აშშ დოლარი) და იაპონია (5.5 მლნ აშშ დოლარი). ამასთან, უნდა აღინიშნოს ბოლო პერიოდში ნიდერლანდების წილის კლება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში – თუ 2013 წელს ამ ქვეყნიდან შემოსული ინვესტიციები მთლიანი ინვესტიციების 16.3%–ს, ხოლო 2014 წელს კი 21.2%–ს შეადგენდა, 2016 წლის პირველ ნახევარში ეს მაჩვენებელი 5%–მდე დაეცა. მეორეს მხრივ, ბოლო პერიოდში გაიზარდა გაერთიანებული სამეფოს წილი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, თუ 2013–14 წლებში ეს მაჩვენებელი 6%–ის მახლობლად იყო, გასულ წელს ის მთლიანი ინვესტიციების 24.7% ხოლო 2016 წლის პირველ ნახევარში კი 12.9%–ს შეადგენდა. კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გაიზარდა აზერბაიჯანის წილი საქართველოში შემოსულ ინვესტიციებში – თუ 2012 წელს ეს მაჩვენებელი შედარებით დაბალი იყო და 9.5%–ს უდრიდა, 2015 წელს და 2016 წლის პირველ ნახევარში ის საშუალოდ 36.9%–ის ტოლი იყო.

სექტორული დანაწილების კუთხით, 2016 წლის პირველ ნახევარში შემოსული ინვესტიციების უდიდესი ნაწილი – 376.3 მლნ აშშ დოლარი, მთლიანი ინვესტიციების 45.1% – შემოვიდა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში. 117.4 მლნ აშშ დოლარი და მთლიანი ინვესტიციების 14.1% შემოვიდა ფინანსურ სექტორში, ხოლო 85 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 10.2%) კი ენერჯეტიკაში. სექტორული დინამიკის კუთხით აღსანიშნავია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში ინვესტიციების წილის მკვეთრი ზრდა ბოლო 5–6 წლის მანძილზე. თუ 2011 წელს ამ სექტორის წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 11.3% იყო, 2016 წლის პირველ ნახევარში ამ მაჩვენებელმა 45.1%–ს მიაღწია.


პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორების მიხედვით




ვაჭრობა

2016 წლის იანვარ–ივლისში 40.1%-ით გაუარესდა საქართველოს სავაჭრო დეფიციტი, ხოლო სავაჭრო ბრუნვა კი 17%-ით გაიზარდა. თუკი 2015 წლის პირველი შვიდი თვის მანძილზე მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვა შეადგენდა 5.599 მილიარდ აშშ დოლარს, ხოლო დეფიციტი კი 3.063 მილიარდი დოლარი იყო, 2016 წლის ანალოგიურ პერიოდში ამ მონაცემებმა, შესაბამისად 6.548 და 4.304 მილიარდი დოლარი შეადგინა.

ვაჭრობა 2015 და 2016 წლების იანვარ–ივლისში




სავაჭრო ვაჭრობა (მლნ აშშ დოლარი)




იმპორტის ზრდა საკმაოდ მკვეთრი აღმოჩნდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ზრდა უმეტესწილად განპირობებული იყო ჰეპატიტ ც-ს სამკურნალო საშუალებების დიდი მოცულობის შემოტანით. ამ კატეგორიის გამორიცხვით, იმპორტი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით დაახლოებით 10.7%-ით შემცირდა. წინა წლების მსგავსად, განაგრძო შემცირება ექსპორტმაც, რომელიც შედარებით წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 11.5%-ითაა შემცირებული. ამასთან, თუკი გასულ წელს ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში მცირედით, მაგრამ გაიზარდა, წელს ეს პარამეტრი 25.1%-ით შემცირებულია. შემცირდა, ასევე, ექსპორტი დსთ-ს ქვეყნებში, და ამ შემცირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ექსპორტმა აზერბაიჯანში, რომელიც 61.7%-ით დაეცა წინა წელთან შედარებით. აღსანიშნავია, თუმცა, ექსპორტის 19.3%-იანი ზრდა რუსეთში. ასევე, მიუხედავად ლარის გაუფასურებისა აშშ დოლარის მიმართ, 26.2%-ით შემცირდა საქართველოს ექსპორტი აშშ-შიც.

ექსპორტი და იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)




2016 წლის იანვარ–ივლისში საქართველოდან ექსპორტის 21-21% ევროკავშირის ქვეყნებსა და დსთ-ს ქვეყნებში (რუსეთის გარდა) მიემართებოდა. შემდეგ პოზიციებს იკავებდნენ თურქეთი (10%), ჩინეთი (9%) და რუსეთი (8%). იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოსა და ჩინეთს შორის დაიდო თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, მოსალოდნელია, რომ ჩინეთის წილი ჩვენს საგარეო ვაჭრობაში კიდევ უფრო გაიზრდება.

ექსპორტი ქვეყნების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი)




2016 წლის იანვარ–ივლისში საქართველოს მთავარ საექსპორტო პოზიციას – მთლიანი ექსპორტის 15% – სპილენძის მადნები და კონცენტრატები წარმოადგენდა. შედარებით მნიშვნელოვანი იყო მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტიც, თუმცა მისი წილი დაახლოებით 2015 წლის დონეზე დარჩა და მნიშვნელოვნად შემცირდა წინა წლებთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ მეოთხე ადგილს საქართველოს ექსპორტში იკავებს თხილი, რომელიც, მიუხედავად ღვინოს ექსპორტის ზრდისა შარშანდელ მონაცემებთან შედარებით, მაინც წარმოადგენს საქართველოს მთავარ სასოფლო-სამეურნეო ექსპორტს.

ექსპორტი საქონლის ჯგუფების მიხედვით, 2016 წლის იანვარ–ივლისი




ც ჰეპატიტის წამლების იმპორტის გამორიცხვით (რომლებიც ირლანდიასა და კანადიდან შემოდის), 19.2%-ით შემცირდა იმპორტი ევროკავშირის ქვეყნებიდან, ასევე შემცირდა იმპორტი დსთ–ს ქვეყნებიდანაც, თუმცა მხოლოდ 3%-ით. აქედან იმპორტი ბელარუსიდან გაიზარდა თითქმის 3.5-ჯერ, ძირითადად სამგზავრო ვაგონების ერთჯერადი მსხვილი შესყიდვის ხარჯზე. ასევე გაიზარდა იმპორტი რუსეთსა და სომხეთიდან, თუმცა მნიშვნელოვნად, 17.8%-ით შემცირდა იმპორტი ჩვენი ერთ–ერთი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნიდან, აზერბაიჯანიდან, რამაც განაპირობა იმპორტის მთლიანი შემცირება.



ევროკავშირის ქვეყნები კვლავაც საქართველოს ძირითადი საიმპორტო პარტნიორია. როგორც უკვე აღინიშნა, კანადის ლიდერობა ჩვენს საიმპორტო პარტნიორებში განპირობებულია ც ჰეპატიტის სამკურნალო საშუალებების დიდძალი იმპორტით, და სავარაუდოდ დროებით მოვლენას წარმოადგენს. ტრადიციულად მნიშვნელოვან წილი საქართველოს იმპორტში უკავია თურქეთს, მთლიანი იმპორტის 14%-ით.

იმპორტი, საქონლის ტიპების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი)



წამყვან საიმპორტო პოზიციებში პირველ ადგილზეა, როგორც უკვე აღინიშნა, სამკურნალო საშუალებები, ძირითადად ჰეპატიტ ც–ს საწინააღმდეგო მედიკამენტების იმპორტის ხარჯზე. მსოფლიო ბაზრებზე ნავთობის ფასების მკვეთრი დაცემის შედეგად გრძელდება შემცირდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების წილის შემცირება მთლიან იმპორტში (11.9%–დან 2013 წელს 8.5%–მდე 2015–ში და 6%–მდე 2016 წლის პირველი 7 თვის მანძილზე). საქართველოში იმპორტი, ტრადიციულად, ბევრად უფრო დივერსიფიცირებულია, ვიდრე ექსპორტი.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება 2016 წლის პირველ ნახევარში

2016 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების მარჯვენებელი განისაზღვრა 7,980 მილიონი ლარით, ხოლო მობილიზებული სახსრებმა 3,774.5 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წლიური დაგეგმილი მარჯვენებლის 46.9%–ია. ამასთან ნახევარი წლის გეგმა იყო 3,716 მილიონი ლარი, რაც იმას ნიშნავს, რომ ნახევარი წლის შესრულება 100.8% იყო.

	2016 წლიური გეგმა	6 თვის შესრულება	შესრულება %
გადასახადები	7,980.0	3,744.5	46.9
<i>მათ შორის</i>			
საშემოსავლო გადასახადი	2,086.0	905.7	43.4
მოგების გადასახადი	980.0	510.1	52.1
დღგ	3,802.0	1,477.1	38.9
აქციზი	1,012.0	492.5	48.7
იმპორტის გადასახადი	75.0	32.8	43.7
სხვა გადასახადები	25.0	326.4	1,305.6

	2016 6 თვის გეგმა	6 თვის შესრულება	შესრულება %
გადასახადები	3,716.0	3,744.5	100.8
<i>მათ შორის</i>			
საშემოსავლო გადასახადი	962.0	905.7	94.1
მოგების გადასახადი	515.0	510.1	99.0
დღგ	1,750.0	1,477.1	84.4
აქციზი	441.0	492.5	111.7
იმპორტის გადასახადი	38.0	32.8	86.3
სხვა გადასახადები	10.0	326.4	3,264.0


გასული წლის სტატისტიკური მარკენებლების გათვალისწინებით, 2016 პირველ ორ კვარტალში მობილიზებული სახსრების ოდენობა დაგეგმილ წლიურ მარკენებელთან შედარებით დაბალია, თუმცა უფრო მაღალი, ვიდრე 2014 წელს. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ აქციზისა და სხვა გადასახადების შემთხვევაში მოხდა გეგმის გადაჭარბებით შესრულება, თუმცა უკანასკნელი კატეგორიის შემთხვევაში ეს აიხსნება დაგეგმილი თანხის საკმაოდ დაბალი მნიშვნელობით.

2016 წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა შეადგინა 211.5 მილიონი ლარი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება გასული წლის ანალოგიურ მარკენებელს (17.4 მილიონი ლარი). ამასთან, ეს დეფიციტი ნახევარი წლის მშპ-ს 1.37%-ს წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ თუკი ბიუჯეტის დეფიციტი დაგეგმილი მშპ-ს 3% ოდენობით შესრულდება, წლის მეორე ნახევარში ბიუჯეტის დეფიციტი ბევრად ფართო უნდა იყოს.

სახ. ბიუჯეტის გადასახადების შესრულება (მლნ ლარი)



I-II კვარტალი, ფაქტი წლიურთან, %



სახელმწიფო ბიუჯეტში მისაღები სახსრების უდიდესი ნაწილი მოდის დამატებული ღირებულების გადასახადსა და საშემოსავლო გადასახადზე. ამდენად მნიშვნელოვანია სწორად ამ ორი გადასახადის კუთხით არსებული მდგომარეობის ანალიზი.


დამატებული ღირებულების გადასახადი

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებული ღირებულების გადასახადის წლიური გეგმა განისაზღვრა 3,802 მილიონი ლარით, რაც თითქმის 300 მილიონი ლარით (8.5%-ით) აღემატება 2015 წლის ანალოგიურ პარამეტრს; ამასთან 6 თვის გეგმა იყო 1,750 მლნ ლარი. 2016 წლის პირველ ნახევარში მობილიზებულ იქნა 1,477.1 მილიონი ლარი, ანუ წლიური გეგმის 38.9% (6 თვის გეგმის მხოლოდ 84.4%). ეს მნიშვნელოვნად ჩამორჩება გასული წლების ანალოგიურ მარკენებლებს და გარკვეულ წილად საგანგაშოც არის. შედარებით გასულ წელთან ბიუჯეტს თითქმის 200 მილი-

ონი დააკლდა აბსოლუტურ მარჯვენებლებში, ხოლო, თუ გავითვალისწინებთ ბიუჯეტის ზრდის მარჯვენებლსაც 2015 წელთან შედარებით, დანაკლისი 327.4 მილიონი ლარია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ტვირთი მომდევნო კვარტალებზე გადანაწილდება.

კლებს დამატებული ღირებულების გადასახადში უშუალო კავშირშია ჩვენს მიერ აღნიშნულ ეკონომიკური აქტივობის შენელებასთან. თუკი რეალური ზრდის ფაქტობრივი (2.6%) და დაგეგმილი (3%) მარჯვენებლები ახლოს არის ერთმანეთთან, ინფლაციის ფაქტობრივ და დაგეგმილ მარჯვენებლებს შორის აცდენა გარკვეულ წილად განაპირობებს განსხვავებას დამატებული ღირებულების გადასახადის გეგმასა და შესრულებას შორის. ამ ფონზე, არ არის გამორიცხული, რომ წლის ბოლოსთვის ფინანსთა სამინისტროს პრობლემები გაუჩნდეს ამ გადასახადის დაგეგმილი ოდენობის მობილიზებაში.


დღგ-ს შესრულება (მლნ ლარი)




საშემოსავლო გადასახადი

გარკვეული პრობლემები არსებობს, ასევე, საშემოსავლო გადასახადის მობილიზებაშიც. კერძოდ, გასულ წლებთან შედარებით შემცირებულია ამ გადასახადის ფაქტობრივი შესრულების წილიც. 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით საშემოსავლო გადასახადიდან მისაღები თანხა განისაზღვრა 2,086 მილიონი ლარით, რაც მხოლოდ 1,6%-ით აღემატება 2015 წლის დაგეგმილ მარჯვენებელს; 6 თვის გეგმა იყო 962 მლნ ლარი. ამასთან 2016 წლის პირველ ნახევარში მობილიზებული თანხა 905.7 მილიონი ლარია, რაც 2.7%-ით ნაკლებია გასული წლის ანალოგიურ მარჯვენებლებზე. შედეგად, შესრულების წილი 2016 წელს წლიური გეგმის მხოლოდ 43.4%, ხოლო 6 თვის გეგმის კი 94.1%-ია.

სახ. ბიუჯეტის საშემოსავლო გადასახადების შესრულება (მლნ ლარი)



I-II კვარტალი, ფაქტი წლიურთან, %



სახელმწიფო ხარჯების სტრუქტურა


სახელმწიფო ხარჯების უდიდეს ნაწილს წარმოადგენდა სოციალურ უზრუნველყოფაზე განეული ხარჯები – 37.4%, შრომის ანაზღაურებაზე განეული ხარჯები მთლიანის 17.7% იყო, ხოლო საქონელსა და მომსახურებაზე – 12.6%. აღსანიშნავია, რომ ხარჯების უმეტესობისგან განსხვავებით, სოციალურ უზრუნველყოფაზე განეული ხარჯები თითქმის ყველა კატეგორიის შემთხვევაში დაგეგმილის 100%-ს შეადგენს, გარდა სოციალურ რეაბილიტაციისა და ბავშვთა ზრუნვის კატეგორიისა, სადაც შესრულება მხოლოდ 94.6% იყო. აღსანიშნავია, რომ სოციალურ უზრუნველყოფაზე განეული ხარჯები მნიშვნელოვნად (12.1%-ით) გაიზარდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ინფრასტრუქტურული ხარჯების შესრულება მნიშვნელოვნად ჩამორჩება გეგმას. თუკი გეგმის მიხედვით ხარჯების ოდენობა უნდა ყოფილიყო 326,1 მილიონი ლარი, შესრულება მხოლოდ 261,1 მილიონ ლარს, ანუ გეგმის მხოლოდ 80.1%-ს შეადგენს. ეკონომიკური შესუსტების ფონზე სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლი გააჩნია ეკონომიკის სტიმულირებაში და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროდუქტიული, კაპიტალური ხარჯების ზრდა, რადგან სწორედ ასეთი ფისკალური პოლიტიკა წარმოადგენს ეკონომიკის სტიმულირების საუკეთესო საშუალებას.


შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურების კუთხით აღინიშნება ზრდა, როგორც პროცენტულ, ისე აბსოლუტურ მაჩვენებლებში. თუკი 2015 წლის ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების წლიური მაჩვენებელი 1,376.8 მილიონი ლარი იყო, 2016 წლის ბიუჯეტში ეს მაჩვენებელი 4.8%-ით გაიზარდა და 1,443.3 მილიონი ლარი გახდა. გასულ წელთან შედარებით გაიზარდა, აგრეთვე, შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები წლის პირველ ნახევარში, 6%-ით, 669.8 მილიონი ლარიდან 710 მილიონ ლარამდე, რაც 6 თვის გეგმის 97.9%-ს წარმოადგენს.

შრომის ანაზღაურება (მლნ ლარი)



I-II კვარტალი, ფაქტი წლიურთან, %



საშემოსავლო გადასახადების შესრულების შემცირების ფონზე, ეს ცალსახად მიუთითებს მნიშვნელოვან კლებაზე შრომის ანაზღაურების ხარჯებზე კერძო სექტორში და ამ ფონზე სახელმწიფო სექტორში სახელფასო ხარჯების დისპროპორციულ ზრდაზე (რაც შეიძლება აიხსნას დასაქმებულთა რაოდენობის, ხელფასების, პრემიებისა ან დანამატების ზრდაზე). ნაკლებად სავარაუდოა, რომ შრომის ანაზღაურების ხარჯების ამგვარი ზრდა უკავშირდებოდეს ბიუჯეტიდან პროგრამულად დაფინანსებული ორგანიზაციები, ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებიდან დაფინანსებული სტრუქტურები, რადგან მათზე გაწეული ხარჯები შედარებით მცირეა და, გარდა ამისა, არსებობს რიგი შეზღუდვებისა, რომლებიც ლიმიტს ადებს ამ ორგანიზაციების მიერ გაწეულ სახელფასო დანახარჯებს. შესაბამისად, იმის ფონზე, როდესაც ეკონომიკის ზრდა ქვეყანაში შენელებულია და ეს მკვეთრად აისახება გადასახადების შეგროვებაში, სახელმწიფო სახელფასო ხარჯების ზრდა, სულ მცირე, კითხვებს იწვევს.

2017 წლის სახელმწიფო

ბიუჯეტის გეგმა

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობები განისაზღვრა 10,555 მილიონი ლარით, რაც 2016 წლის გეგმას 410 მილიონი ლარით აღემატება.

ტრადიციულად, შემოსულობების ძირითად ნაწილს გადასახადებიდან მისაღები სახსრები წარმოადგენს, რომელთა წილი მთლიან შემოსულობებში 77%-ით განისაზღვრა. ეს ორი პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2016 წლის გეგმის ანალოგიურ მაჩვენებელზე, თუმცა აბსოლუტური მნიშვნელობით 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი წინა წელთან შედარებით გადასახადების სახით 190 მილიონი ლარით მეტის მოზიდვას ითვალისწინებს. ასევე, მნიშვნელოვნად გაზრდილია ბიუჯეტის შემოსულობები ვალდებულებების ზრდის კუთხით, თუმცა ეს ზრდა – 385 მილიონი ლარი – ჩამოუვარდება გასული წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს.

დასახელება	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი	სხვაობა
შემოსულობები	10,145,000.00	10,555,000.00	410,000.00
შემოსავლები	8,555,000.00	8,715,000.00	160,000.00
გადასახადები	7,980,000.00	8,170,000.00	190,000.00
გრანტები	255,000.00	265,000.00	10,000.00
სხვა შემოსავლები	320,000.00	280,000.00	-40,000.00
არაფინანსური აქტივების კლება	225,000.00	90,000.00	-135,000.00
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	90,000.00	90,000.00	0.00
ვალდებულებების ზრდა	1,275,000.00	1,660,000.00	385,000.00


შემოსავლების პროგნოზი ეფუძნება, ფინანსთა სამინისტროს თქმით, მომავალი წლის ფისკალური და მაკროეკონომიკური მაჩვენებლების კონსერვატულ გეგმას, რომლის მიხედვითაც 2017 წლის რეალური მშპ-სა და მშპ დეფლატორის ზრდა 4%-ით არის განსაზღვრული. ამდენად, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვრა მშპ-ს 22.3%-ის ოდენობით. იმის გათვალისწინებით, რომ 2016 წლის პირველი ორი კვარტალის ზრდა 3%, ხოლო დეფლატორის ზრდა მეორე კვარტალში მხოლოდ 0.7% იყო, ეს კონსერვატული მიდგომაც გარკვეულწილად ოპტიმისტურად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო აღნიშნული პარამეტრების შესრულება კი გაისად კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდეს. ამასვე მიუთითებს ბიუჯეტის წლევანდელი გეგმის შესრულების შედარებით დაბალი მაჩვენებლები. თუკი რვა თვის შესრულებას შევხედავთ,

დასახელება	2016 წლის გეგმა	2016 წლის ფაქტი (01.09.2016)	%	2017 წლის პროექტი
გადასახადები	7,980,000.00	5,177,663.4	64.88	8,170,000.00
საშემოსავლო გადასახადი	2,086,000.00	1,306,157.60	62.62	2,439,000.00
მოგების გადასახადი	980,000.00	705,401.00	71.98	523,000.00
დღგ	3,802,000.00	2,117,986.70	55.71	4,012,000.00
აქციზი	1,012,000.00	702,219.40	69.39	1,085,000.00
იმპორტის გადასახადი	75,000.00	45,295.30	60.39	86,000.00
სხვა გადასახადები	25,000.00	300,601.60	1,202.41	25,000.00

გადასახადების მობილიზება ჩამორჩება წლიური გეგმის 2/3 ს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების პროგნოზებით, საქართველოს ეკონომიკური ზრდა 2017 წელს უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე ამას ფინანსთა სამინისტრო ვარაუდობს. კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზებით რეალური ზრდა საქართველოში 2017 წელს იქნება 5.2%, (ინფლაცია – 3.6%); მსოფლიო ბანკის პროგნოზებით კი რეალური ზრდა იქნება 4.5%.

აღსანიშნავია 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში საშინაო და საგარეო სახელმწიფო ვალის მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხებიც. პროექტის მიხედვით, გათვალისწინებულია საშინაო ვალდებულებების კლება 890 მილიონი ლარის ოდენობით, საიდანაც 855 მილიონი ლარით განისაზღვრა სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვა. იმის გათვალისწინებით, რომ სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების შედეგად დაგეგმილი ზრდა შეადგენს 1,155 მილიონ ლარს, საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდა 2017 წელს იქნება 300 მილიონი ლარი. რაც შეეხება საგარეო ვალს, პირველ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სახელმწიფო ვალის ამ ნაწილის ტვირთი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ლარის გაცვლით კურსზე იმ ვალუტების მიმართ, რა ვალუტებშიც არის ეს ვალი დენომინირებული. 2014–15 წლებში ლარის მკვეთრი გაუფასურების გამო, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის წილი მშპ–ში გაიზარდა 27.2%–იდან 32.6%–მდე. 2017 წლის ბოლოსთვის დაგეგმილია ამ მაჩვენებლის 31.9%–მდე შემცირება, თუმცა ეს შემცირება მათ შორის ლარის კურსის 2.4–დან 2.3–მდე გამყარების გამო არის დაგეგმილი

სახელმწიფო ვალის ფარდობა მშპ-სთან



თავისთავად, სახელმწიფო ვალის ზრდა მშპ-სთან ფარდობაში არ არის დადებითი ტენდენცია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ზრდა ცალსახად არის ლარის გაუფასურების და არა ახალი მსხვილი ვალდებულებების აღების შედეგი. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს პარამეტრი მნიშვნელოვნად ნაკლებია 60%-ზე, რომელიც სახელმწიფო ვალის მდგრადობის საერთაშორისო ნორმებში აღიარებულ ზღვარს წარმოადგენს. განყენებულად რომ მივუდგეთ, ვალის აღება არ წარმოადგენს უპირობო შეცდომას, პირიქით, როდესაც აღებული ვალი ხმარდება სხვადასხვა პროდუქტიული კაპიტალური პროექტების განხორციელებას, შესუსტებული ეკონომიკური აქტივობის ფონზე ეს ეკონომიკისთვის მხოლოდ დადებით სტიმულს წარმოადგენს (რისი მაგალითიც იყო 2009–10 წლებში განხორციელებული ე.წ. ფისკალური სტიმულუსი).

2017 წლის მანძილზე საგარეო ვალდებულებების ზრდა განსაზღვრულია 1,360 მილიონი ლარის ოდენობით, საიდანაც საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად მიღებული გრძელვადიანი კრედიტების მოცულობაა 900 მილიონი ლარი, ხოლო მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მიღებული საბიუჯეტო კრედიტებია 460 მილიონი ლარი. იმის გათვალისწინებით, რომ 2017 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია საგარეო ვალის ძირითადი თანხის დაფარვა 415 მილიონი ლარით, მთლიანად საგარეო ვალი მომავალი წლის განმავლობაში გაიზრდება 945 მილიონი ლარით. ჯამში, საბიუჯეტო კრედიტების წილი ბიუჯეტში კვლავ მაღალ დონეზე ნარჩუნდება, რაც გამოწვეულია სოციალური ვალდებულებების მუდმივად მზარდი მოცულობით. ეკონომიკური პოლიტიკისა და კვლევის ცენტრს კიდევ ერთხელ სურს გაუსვას ხაზი ამგვარი ვალდებულებების ბიუჯეტში მობილიზებული გადასახადებით დაფინანსების აუცილებლობას.

კატეგორია	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროექტი	სხვაობა
შრომის ანაზღაურება	1,443,304.30	1,442,821.60	-482.70
საქონელი და მომსახურება	1,037,494.80	1,105,587.40	68,092.60
პროცენტი	473,757.00	450,040.00	-23,717.00
სუბსიდიები	264,476.00	300,441.00	35,965.00
გრანტები	960,931.60	993,284.80	32,353.20
სოციალური უზრუნველყოფა	3,056,999.00	3,223,425.50	166,426.50
სხვა ხარჯები	1,306,606.80	1,271,425.50	-35,181.30
არაფინანსური აქტივების ზრდა	750,071.90	758,479.20	8,407.30
ფინანსური აქტივების ზრდა	407,001.60	509,292.00	102,290.40
ვალდებულებების კლება	444,357.00	500,203.00	55,846.00
სულ გადასახდელები	10,145,000.00	10,555,000.00	410,000.00

2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შეადგენს 10,555 მილიონ ლარს, რაც 410 მილიონი ლარით აღემატება 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით მცირედით, მაგრამ მცირდება შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები. მეორეს მხრივ მნიშვნელოვნად იზრდება ხარჯები სოციალურ უზრუნველყოფაზე, ხოლო ინფრასტრუქტურაზე გაწეული ხარჯების ზრდა უმნიშვნელოა. ასევე, იზრდება სუბსიდიებისა და გრანტებისთვის დაგეგმილი ხარჯები. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ძირეული განსხვავება გასული წლის ხარჯების სტრუქტურიდან არ გვაქვს, თუმცა, არსებული ეკონომიკური შესუსტების ფონზე, მიგვაჩნია, რომ პროდუქტიული ხარჯების ზრდა მნიშვნელოვანი როლის მატარებელი იქნებოდა.

რეკომენდაციები


ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობის შენელებისა და რეგიონში პრობლემური ეკონომიკური ვითარების ფონზე სახელმწიფოს როლი ეკონომიკის სტიმულირებაში საკმაოდ მაღალია. ამასთან, გაცვლითი კურსის ბოლო პერიოდის მერყეობისა და მგრძობიარობის ფონზე სახელმწიფო ხარჯების/ბიუჯეტის დეფიციტის მნიშვნელოვანი ზრდა შესაძლოა კონტრპროდუქტიული იყოს. გამომდინარე წინასაარჩევნო სიტუაციიდან, ნაკლებად მოსალოდნელია რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება სახელმწიფოს მხრიდან, თუმცა, არჩევნების შემდგომ გამარჯვებულმა პოლიტიკურმა ძალამ უნდა განიხილოს გადასახადების შემცირების საკითხი, რათა მოხდეს კერძო სექტორისა და ეკონომიკური აქტივობის სტიმულირება.

ამასთან ერთად, სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიაქციოს ინფრასტრუქტურული ხარჯების გეგმის შესრულებას, რომლის არსებული დონე დღევანდელ პირობებში გაუმართლებლად დაბალია.

არჩევნების შემდგომი პერიოდი ხშირად განსაკუთრებული ეკონომიკურ მერყეობით ხასიათდება, ამდენად მნიშვნელოვანი იქნება მთავრობის დროული ფორმირება და კერძო სექტორისთვის მკაფიო გზავნილების მიწოდება, რადგან პოსტ-საარჩევნო პერიოდში არსებული გაურკვევლობის დონე მინიმუმამდე იქნას დაყვანილი. მნიშვნელოვანია მთავრობამ დასახოს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების სტრატეგია და საშუალოვადიან პერიოდში სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა თანმიმდევრული და თავსებადი იყოს აღნიშნულ სტრატეგიასთან.



ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC)
ფალიაშვილის ქ. 85. მეოთხე სართული. 0162. თბილისი. საქართველო.

 (995 32) 2 207 305

 info@eprc.ge

 [@EPRC_Georgia](https://twitter.com/EPRC_Georgia)

 [Economic Policy Research Center](https://www.facebook.com/EconomicPolicyResearchCenter)

 www.eprc.ge